ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1288204

ნომერი: AR1217288

თარიღი : 05.05.2014

გაცემის თარიღი : 28.05.2014

გაცნობის თარიღი : 29.05.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

აკ.წერეთლის გამზ.141ა;

დამკვეთი-განმცხადებელი
- იზაბელა ჯალაღანია პ/ნ 26001010529
- ლანჩხუთი წმინდა ნინოს ქ. N 32

ორგანიზაცია:
- იზაბელა ჯალაღანია კოდი: 26001010529

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული

„დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1217288 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, წერეთლის გამზირი N141ა–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე ღია საზაფხულო კაფის მოწყობის მიზნით, წერილობითი ნებართვის გაცემას, გაცნობებთ შემდეგს:

თანახმად „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებით, გეძლევათ უფლება 1 წლის ვადით ქ. თბილისში, წერეთლის გამზ. #141ა–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე თქვენს მიერ წარმოდგენილი ფოტომონტაჟის შესაბამისად, მოაწყოთ ღია კაფე და განათავსოთ მაგიდა–სკამებით და ქოლგებით.

ამასთან დამატებით გაცნობებთ: საზოგადოებრივ ან/და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე განთავსებული დროებითი შენობისა და ნაგებობის გამოყენების მაქსიმალური ვადაა 1 წელი და შესაძლებელია ყოველი ვადის ამოწურვის შემდეგ ვადის მაქსიმუმ 1 წლით გაგრძელება. ვადის ამოწურვის შემდეგ, როდესაც არ ხდება ვადის გაგრძელება, აუცილებელია დროებითი შენობისა და ნაგებობის დემონტაჟი (დაშლა/დანგრევა), ტერიტორიიდან გატანა, აგრეთვე, ამ ტერიტორიის კეთილმოწყობა ან/და პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.